პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 48 (10745) | სამშაბათი, 26 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს დღე

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

ზესტაფონელ მეტალურგებთან

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. თვითეული მუშა, თვითეული ბრიგადა ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ სამშობლოს მისცეს მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს დიად დღესასწაულს.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა № 1 სადნობი საამქრო. მე-4 ღუმელის მდნობელებმა პ. სეფისკვერაძემ, ზ. ბუცხრიკიძემ, ვ. ხუჯაძემ, ვ. ნებიერიძემ და ი. გიორგაძემ თებერვლის 15 დღის გეგმა 102,9 პროცენტით შეასრულეს და 4.200 კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგეს. თავი გამოიჩინეს აგრეთვე ამავე საამქროს მოწინავე მექურეებმა ბ. ბრეგვაძემ და ა. ტაბატაძემ. მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს 113-115 პროცენტით ანაღდებენ.

* * *

სურათზე: ბ. ბრეგვაძე (მარცხნივ) და ა. ტაბატაძე მუშაობის დროს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

ახლად არჩეული პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი-სემინარი

ქუთაისი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო ახლად არჩეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი-სემინარი. თათბირ-სემინარზე მოსმენილ იქნა პარტიის რაიკომის მდივნის ა. კირჩხელის, საორგანიზაციო განყოფილების გამგის ა. დოლიძის და სხვ. მოხსენებანი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე: პარტიული მეურნეობა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია, პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა, პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძლიერების წყაროა, პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობის დაყენება და სხვ.

ახმეტის რაიონში

◎

მშენებლობანი რაიონის ცენტრში

რაიონის ცენტრში შარშან დამთავრდა სასტუმროს და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ორსართულიანი სახლის მშენებლობა. დასასრულს უახლოვდება კომუნალური განყოფილების ადმინისტრაციული სახლის აგება. ხე-ტყის სახერხი ქარხანა მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენებს ათბინიან საცხოვრებელ სახლს. წელსვე დამთავრდება სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება.

ახალი მანქანები ხე-ტყის გამოსაზიდავად

ახმეტის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ შარშან 87 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე დაამზადა და გამოზიდა ილტოს, ორვილისა და სხვა ხეობებიდან. წელს მეურნეობა გაცილებით მეტი სამასალე მერქნის გამოზიდვას ითვალისწინებს. ახმეტელმა ხე-ტყის მჭრელებმა „ტდტ-40“ მარკის სამი ახალი ტრაქტორი მიიღეს. ეს ტრაქტორი გაცილებით მძლავრი და ადვილად სამართავია. ახმეტელებმა მიიღეს აგრეთვე სამი ტონა სიმძლავრის ორი ახალი ამწე. მორების ზიდვაზე სხვა მარკის მანქანებთან ერთად მუშაობს 7-ტონიანი 6 ავტომანქანა. მათ შორის სამი ახლადმიღებულია.

საკოლმეურნეო აბანო

მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა ააშენა საკოლმეურნეო აბანო, რომელსაც აქვს ორი საერთო განყოფილება და ორი ნომერი. აბანო ერთდროულად 25 კაცს ატარებს.

ახმეტური პარკეტი

ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან მოწყობილია პარკეტის დასამზადებელი საამქრო. შარშან გეგმით 110 ათასი კვადრატული მეტრი წიფლის პარკეტი უნდა დაემზადებინათ. ფაქტიურად დაამზადეს 115 ათასი კვადრატული მეტრი. საქართველოს ქალაქებს გარდა, ახმეტური პარკეტი გაიგზავნა ლენინგრადში, ბარნაულში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. საპარკეტე საამქროს ამ დღეებში ორი ახალი დაზგა შეემატება. ეს საგრძნობლად გაადიდებს წარმადობას.

წითელი კუთხეები მეცხოველეობის ფერმებში

ახმეტის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმას ამავე სოფლის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. მათ მწყემსებისათვის მოიტანეს მრავალი წიგნი, ბროშურა და ჟურნალი. მოსწავლეებმა წითელი კუთხე ლამაზად გააფორმეს. ახლა აქ კოლმეურნეები სისტემატურად კითხულობენ მხატვრულ, პოლიტიკურ და სამეურნეო ლიტერატურას. წითელი კუთხეები მოეწყო ქისტაურის, ზემო ხოდაშნის, ოქიოს, მატნის და სხვა კოლმეურნეობებში. ამ საქმის ინიციატორები თითქმის ყველგან მოსწავლეები არიან.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა მოფიქრებულად განხორციელების გზით

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის მისამართით წინათ ბევრი საყვედური გაისმოდა მომხმარებლებისაგან. ეს საყვედურები სიმართლეს მოკლებული როდი იყო. ფაბრიკა ხშირად უშვებდა მდარე ხარისხის პროდუქციას, რომელიც არ საღდებოდა, მაღაზიის თაროებზე რჩებოდა. მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე ფაბრიკის მუშაობაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მკერავთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებმებოდა, აქ უკვე მიაღწიეს მუშაობის გარდაქმნას, შრომის ისე მოწყობას, რომ ძველი ნაკლოვანებებისაგან საბოლოოდ გათავისუფლებულიყვნენ. რუსთაველის მეტალურგების მიმართვის საპასუხოდ ფაბრიკის კოლექტივმა გადიდებული ვალდებულებები იკისრა. დიდი დრო არ არის გასული საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შემდეგ, მაგრამ ამ მცირე დროშიც მათ 5 რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს წარმოებაში და ამით ცოტათი როდი გაიადვილეს ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა შესრულების ამოცანა. მარტო ამ წინადადებათა განხორციელებით წელს ფაბრიკა 300 ათასამდე მანეთის ეკონომიას მიიღებს. მექანიკური სახელოსნოს უფროსმა გ. ჯოხაძემ, ინჟინერმა ს. ქიტუაშვილმა შექმნეს საკერავი მანქანის ისეთი სამარჯვი, რომლითაც შეიძლება გამოჭრილი ტანსაცმლის დაბლანდვა, და ასეთი სამარჯვებით მუშაობა 11 საკერავ აგრეგატზე განახორციელეს. ამით განთავისუფლდა 20 მკერავი-მბლანდავი, რომლებიც სხვა სახის სამუშაოზე არიან გადაყვანილი.

რაციონალიზატორმა ს. ტომარსკიმ წარმოადგინა წინადადება მამაკაცის შარვლის გამოჭრის ტექნიკის გაუმჯობესების შესახებ. მისი წინადადების განხორციელების შედეგად ახლა ფაბრიკაში ყოველი შარვლის გამოჭრისას 4 სანტიმეტრი ქსოვილი იზოგება. ამ წინადადების განხორციელება ფაბრიკას წელს სულ ცოტა 250 ათასი მანეთის ქსოვილის ეკონომიას მისცემს.

მთავარი ღონისძიება, რასაც ახლა ფაბრიკაში ახორციელებენ, ეს არის მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და წრეების ქსელის გაფართოება. თარგებით ჩამხაზველთა კვალიფიკაციის დაბალი დონე სამკერვალო საწარმოში ყოველთვის არის ქსოვილთა დანაკარგების მიზეზი. კარგი ჩამხაზველი ისე განალაგებს თარგებს, რომ ქსოვილის დანაკარგები მინიმუმამდე იქნას შემცირებული. ამიტომ აქ თავდაპირველად თარგებით ჩამხაზველთა კვალიფიკაციის ამაღლებას შეუდგნენ და ამ საქმეს სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი სპეციალისტები ინჟინერი რ. ბუაძე და ფაბრიკის საწარმოო განყოფილების უფროსი ზ. ლალიაშვილი. შეუდგნენ აგრეთვე წუნდებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა აღკვეთონ ფაბრიკიდან წუნდებული პროდუქციის გაშვების შემთხვევები.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მუშაობის გაუმჯობესებული ხერხების შესწავლას, იმას, რომ ყოველი მკერავი თავისი საქმის საუკეთესო ოსტატად აღზარდონ.

ყოველივე ამან უკვე გამოიღო ნაყოფი. იანვრის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემდეგ თებერვლის ორ დეკადაში მიღწეულია შემდგომი წარმატებები. საერთო პროდუქციის გამოშვების თებერვლის ორი დეკადის დავალება გადაჭარბებულია 2 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1.227 ცალი კოსტიუმი, 1.122 ცალი ზედა პერანგი, შალის ქსოვილების ნარჩენთა რაოდენობა თებერვალში შემცირებულია 2,3 პროცენტით, ხოლო აბრეშუმის ქსოვილებისა — 3 პროცენტით.

მთელი რიგი მოწინავე მკერავები თებერვალში თავიანთი აგრეგატებისათვის დაწესებულ საგეგმო დავალებებს ასრულებენ 108-110 პროცენტით, განსაკუთრებით დაწინაურდნენ შ. სვანიძე, ნ. კალანდაძე, ვ. ჯაგაევა, ც. ყურაშვილი, ნ. კალანდაძე და მრავალი სხვა მკერავი და აგრეგატის კოლექტივი.

მ. თვარაძე.

270 ათასი მეტრი ქსოვილები გეგმის გადამეტებით

მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით დაამთავრეს იანვარი გორის ბამბეულის კომბინატში. ჩაებნენ რა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წინათ ჩამორჩენილმა საამქროებმა, ცვლებმა, ბრიგადებმა მკვეთრად გარდაქმნეს მუშაობა და მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. კომბინატის კოლექტივმა იანვრის საწარმოო დავალება 107,5 პროცენტით შეასრულა.

იანვრის მაჩვენებლებით ყველაზე წინ მიდის გამომყვანი ფაბრიკა, რომელმაც იანვრის დავალება 112,2 პროცენტით გაანაღდა. საქსოვ ფაბრიკაში დაწინაურდა მეორე საამქრო (უფროსი გ. ბინიაშვილი). ამ საამქროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით მოქსოვა 25 ათასამდე მეტრი ხამი ქსოვილები.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ძლიერდება შრომის ტემპი სართავი ფაბრიკის საამქროებში. შრომითს ვახტზე დგანან ოსტატის თანაშემწეების ი. წიქარაძის, გ. ჩიხლაძის, შ. ნალიკაშვილის და სხვათა ბრიგადები. ამ ბრიგადებმა თებერვლის ათ დღეში ნახევარი თვის დავალება შეასრულეს.

საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად გორელი ფეიქრები წარმატებებს აღწევენ ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ბრძოლაში. (საკ. კორ.).

საბჭოთა საქართველოს 36-ე წლისთავის დღესასწაული

საზეიმოდ მორთულია რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები საბჭოთა საქართველოს 36-ე წლისთავის დღესასწაულის დღეებში. შენობათა ფასადებს, საწარმოთა კორპუსებს, ახალშენებათა ხარაჩოებს ამშვენებენ დროშები, წითელი ქსოვილები, ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია ხალხის გულიდან მომდინარე სიტყვები: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას.

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღს შეხვდა ახალი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში.

25 თებერვალს საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 36-ე წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ წარმოების მოწინავენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საღღესასწაულოდ მორთულია სცენა. საბრძოლო დროშებთან ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო სამხედრო ყარაული. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, ი. ი. ფედიუნინსკი, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე და სხვ.

საზეიმო სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ე. მელაძემ. დარბაზში გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმები, რომლებსაც სცენის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

საზეიმო სხდომა თბილისის ოპერისა და გალეტის თეატრში

სიტყვა მოხსენებისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილს.

მომხსენებელი ლაპარაკობს შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების 36 წლის განმავლობაში. კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ქართველ ხალხს, ისე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს, დაუსახა შემოქმედებითი ძალების განვითარების, მისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაფურჩქვნის, ეკონომიკისა და კულტურის ზრდის უსაზღვრო შესაძლებლობანი.

მომხსენებელს მოჰყავს მკაფიო ციფრები და ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ ამ უდიდეს ზრდას. საბჭოთა საქართველოს მშრომელების მიერ მიღწეული შესანიშნავი წარმატებები მოპოვებულია დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური დახმარებით. ეს არის ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ერთიანობის დიადი ძალის გამოხატულება.

ამხ. მჭედლიშვილი ლაპარაკობს იმ დიდ აღფრთოვანებაზე, რომლითაც საქართველოს მშრომელნი იბრძვიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ახორციელებენ რა ამ გადაწყვეტილებებს, მათ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მიაღწიეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას, სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებას, კულტურის შემდგომ განვითარებას. იზრდება პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა რესპუბლიკის მშრომელებისა, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ეგებებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის თანმიმდევრულ ღონისძიებებს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრაში, მათი სუვერენიტეტის გაფართოებისათვის.

— საქართველოს მშრომელნი, — აღნიშნავს იგი, — მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებს. ამ გადაწყვეტილებათა პასუხად ისინი ამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

განაგრძობს რა მოხსენებას, ამხ. მჭედლიშვილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს ეგებება დარწმუნებული თავისი ძალებისადმი, თავისი ნათელი მომავლისადმი. რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ ამ სახელოვან ისტორიულ თარიღს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოს მშრომელნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ბავსებით იწონებენ რა პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკას, მზად არიან კვლავაც შეიტანონ თავიანთი წვლილი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების გადიდებაში, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი ბანაკის ძალების განმტკიცებაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე საიმედოდ დგანან სახელოვანი საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

მჭუხარე ტაშით შეხვდნენ საზეიმო სხდომის მონაწილენი ამხ. მჭედლიშვილის სიტყვებს, როდესაც მან გამარჯვება უსურვა საბჭოთა საქართველოს, გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, საბჭოთა კავშირს — მშვიდობის ბურჯს, გამარჯვება უსურვა კომუნისტურ პარტიას. მძლავრად და დიდებულად გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კენჭისყრა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, მიღებული ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო 1957 წლის 14 თებერვალს.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

1957 წლის 27 თებერვალს საღამოს 7 საათზე თბილისის შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.

დღის წესრიგი:

„საბინაო მშენებლობის 1957 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების შესახებ“.

შეჯიბრების ინიციატორებთან

ჯერ მზე არ ამოსულა, წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე კი უკვე შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეთა მხიარული შეძახილები, ტრაქტორების გუგუნი ახმიანებს არემარეს...

პარტიის რაიონულ კომიტეტში და რაისაბჭოს აღმასკომში დღისით ვერ ნახავთ პასუხისმგებელ მუშაკებს. ეს ბუნებრივიც არის. რაიონის მშრომელები ერთსულოვნად დაირაზმნენ იმისათვის, რომ არ შერცხვნენ რესპუბლიკის წინაშე. ისინი წელს გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

სურათზე: წითელწყაროს რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგე რ. ქადაგიძე (მარცხნივ), ლაბორანტები მ. ჩომახაშვილი და ა. ნანობაშვილი ამოწმებენ მზესუმზირას თესლის აღმოცენების უნარს.

—დაძაბული მუშაობა მოგვიხდება,— განაცხადა საუბარში პარტიის წითელწყაროს რაკომის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ბერძენმა, — რათა რაიონმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში და მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში ახალი გადიდებული ვალდებულებანი სასახელოდ შეასრულოს. პირობა დადე — კიდევაც უნდა შეასრულო იგი.

მართლაც ასეა. თბილმა ამინდმა დაბლობ ზონებში თოვლი დააღნო. ისარგებლეს რა ხვნა-თესვისათვის ხელსაყრელი ამინდით, წითლის, გამარჯვებისა და ქედის მტს-ების მექანიზატორები კოლმეურნეებთან ერთად მინდვრად გავიდნენ. ამზადებენ ნიადაგს სიმინდის დასათესად. ზერჩევით შეუდგნენ ქერის, შვრიისა და მზესუმზირას თესვას.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში წინ მიდიან წითლის მტს-ის მექანიზატორები. აქ პირობა ჰქონდათ დადებული ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა დაემთავრებინათ 10 თებერვლისათვის. ფაქტიურად ეს დავალება უფრო ადრე გაანაღდეს. გუთნების, სათესი მანქანებისა და კულტივატორების რემონტის გეგმა კი ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულეს.

ახლა მტს-იდან ყოველდღიურად 72 ტრაქტორი მინდვრად არის გასული. მტს-ის მომსახურე კოლმეურნეობებში მინდვრის სამუშაოები ძირითადად მანქანებით სრულდება.

— მტს-ი ჩვენი სიამაყეა, — ამბობს სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი. — მან შრომა შეგვიმსუბუქა, ხოლო შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად ამაღლდა.

კოლმეურნეებს უყვართ ტრაქტორი, პატივს სცემენ იმათ, ვინც იცის ამ მანქანის მართვა, მისი მექანიზმის „საიდუმლოება“.

ჩვენ ვხედავთ ზემო მაჩხაანის საკოლმეურნეო მინდვრებზე „დტ-54“ მარკის ტრაქტორს, რომლის საჭესთან ზის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის თანაშემწე ს. ნატროშვილი, ხოლო მისაბმელ მანქანაზე მუშაობს მთესველი ვ. ნატროშვილი. ისინი რაიონში პირველად გასულან მზესუმზირას თესვაზე და შეუფერხებლად ამუშავებენ მანქანას.

— თესვის დღიურ ნორმას როგორ ასრულებს ტრაქტორისტი ს. ნატროშვილი? — შევეკითხეთ წითლის მტს-ის ხელმძღვანელ მუშაკებს.

— მარტო გეგმის შესრულება რა ვაჟკაცობაა, ეს ხომ სავალდებულოც არის. ჩვენი მექანიზატორები გეგმას ბევრად აჭარბებენ, — გვითხრეს მათ.

მართლაც ასეა. ტრაქტორისტმა ს. ნატროშვილმა პირველ დღესვე კვადრატულ-ბუდობრივად მზესუმზირა მაღალხარისხოვნად დათესა 18 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა.

ამავე კოლმეურნეობაში მანქანებს სრული დატვირთვით ამუშავებენ ტრაქტორისტები გ. ტოკლიკიშვილი, ვ. ნატროშვილი, ე. ჩაჩანიძე, ე. რობიტაშვილი. მათ შვრია უკვე დათესეს 140-მდე ჰექტარზე და ამით კოლმეურნეობამ თესვის გეგმა 50 პროცენტით შეასრულა.

ზემომაჩხაანელი კოლმეურნეები ივრის ნაპირებზე შეუდგნენ საკვები ჭარხლის თესვას. ეს საუშაო მთლიანად მექანიზებულია. აქ შარშან ცალკეული ნაკვეთიდან საშუალოდ ერთ ჰექტარზე 622 ცენტნერი ჭარხალი მიიღეს და ამით მოსავლიანობის გეგმას 422 ცენტნერით გადააჭარბეს. წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე 700 ცენტნერი საკვები ჭარხლის მიღებისათვის იბრძვიან. ტრაქტორისტმა ფ. ქადაგიძემ და მთესავმა დ. მაძღარაშვილმა დათესეს პირველი 30 ჰექტარი ჭარხალი.

შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში. აქ პირობა ჰქონდათ დადებული 25 თებერვლამდე დაემთავრებინათ ქერის თესვა. ვალდებულება იკისრეს და ვადაზე 5 დღით ადრე კიდევაც გაანაღდეს იგი მექანიზატორებმა თ. გოგიაშვილმა, ბ. იაკობაშვილმა. მათ დათესეს 150 ჰექტარი, რაც გეგმის 100 პროცენტს შეადგენს.

საკოლმეურნეო სოფლის ეს წარჩინებული ადამიანები მუშაობენ საათობრივი გრაფიკით. ისინი მარტო დღისით მუშაობას როდი დასჯერდნენ. მეორე ცვლის მექანიზატორებმა ტრაქტორს ელექტროშუქი გაუკეთეს და ახლა ღამითაც ამზადებენ ნიადაგს სიმინდის დასათესად.

როცა სიბნელე ჩამოწვება, ივრის ველზე მოძრავი ჩირაღდნები ჩანს. კოლმეურნეებმა იციან, რომ ეს ვალიკო ნატროშვილის, არჩილ მარტყოფიშვილის, ბორის ბოსტაშვილისა და სხვათა ტრაქტორებია. ისინი არ კარგავენ წუთსაც კი, რადგან იციან, რომ ახლა ეყრება საფუძველი უხვი მოსავლის მოყვანის საქმეს. მექანიზატორები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ყველას უნდა თავი ისახელოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცეწლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამიტომ არის, რომ ღამითაც ტრაქტორისტები საგაზაფხულო კულტურების დასათესად ნიადაგის მომზადების დავალებას 180-200 პროცენტით ანაღდებენ.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები გაჩაღდა აგრეთვე ქედის მტს-ის ზონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. სოფელ საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ემა დავითიანი) პირველ დღესვე მზესუმზირა კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 20 ჰექტარზე, ხოლო სოფელ ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შვრიის თესვის გეგმა 60 პროცენტით შეასრულა.

რაიონში კარგად მოუფიქრებიათ და ორგანიზებულად მოუწყვიათ საგაზაფხულო მუშაობა მინდვრად გასული ბრიგადებში. მარტო წითლის მტს-ის ზონაში 8 მოძრავი ვაგონია, საიდაც მოწყობილია ბიბლიოთეკა. მოწინავე მექანიზატორი გიორგი დოლიძე, რომელიც მესამე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელია, წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სისტემატურად აწყობს აგიტსაუბრებს. იგი პრაქტიკული საქმიანობითაც კარგ მაგალითს აძლევს თანამოსაქმეებს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ წითელწყაროელი მეცხოველეები. მეცხოველეობაში სამეურნეო წლის ოთხ თვეში სულ რაიონში მოწველილია 1.629 ტონა რძე. ეს 368 ტონით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 407 კილოგრამი რძე, რაც 106 კილოგრამით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამ საქმეში გამოირჩევიან სოფელ ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის, არბოშიკის კალინინის სახელობის, ქედის სტალინის სახელობის, არხილოსკალოს კიროვის სახელობის და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობები.

წითელწყაროელ კოლმეურნეებს ნაკლიც აქვთ. ვალდებულებები ითვალისწინებდა, რომ 20 თებერვლისათვის რაიონში მზად ჰქონოდათ საგაზაფხულო კულტურების თესლი. ეს პირობა დაივიწყა წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერი შვრიის თესლიდან 20 თებერვლისათვის არც ერთი ცენტნერი კონდიციური თესლი არ ჰქონია. აკლიათ ლობიოს თესლიც. როგორც ჩანს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ყაზაროვს ეს არ აწუხებს. გაზაფხული კი კარზეა მომდგარი. ასევე ითქმის სოფელ ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაზე (თავმჯდომარე ს. მაჭავარიანი), რომელსაც აკლია 104 ცენტნერი შვრიის თესლი. სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის, მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის და ქვემო ქედის კოლმეურნეობებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ ლობიოს თესლი.

საერთოდ რაიონი რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა რძის წარმოების გადიდების მხრივ. მაგრამ ზოგიერთმა კოლმეურნეობამ მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წელი არადამაკმაყოფილებლად დაიწყო. ეს პირველ რიგში ითქმის მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაზე. აქ 136 მეწველი პირუტყვი ჰყავთ. მეცხოველეებმა პირობა დადეს საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.400 კილოგრამი რძე. ოთხ თვეში მოწველეს 220 კილოგრამი რძე. ეს 117 კილოგრამით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ უკეთ უნდა იმუშაონ ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ წითელწყაროს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მშრომელები სწრაფად გამოასწორებენ ნაკლოვანებებს და ისე შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, როგორც ეს შეშვენის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



სურათზე: წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი (წინა პლანზე მარჯვნივ) და აგრონომი ხ. გომელაური ამოწმებენ კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი მზესუმზირას თესვის ხარისხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

წერილი რედაქციას

ზოგიერთი მჯკივნეული საკითხის შესახებ

ორჯონიკიძის რაიონში ერთ-ერთი მოზრდილი სოფელია კიცხი, რომელიც კეთილმოწყობის მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. სოფელს არა აქვს საავადმყოფო, კლუბი სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობის ერთ ოთახშია მოთავსებული, არ არის ელექტროგანათება, რადიო ხშირად დაღუმებულია, სათანადო ყურადღება არ ექცევა სასოფლო გზების, ხიდების შეკეთებისა და კეთილმოწყობის საქმეს.

წინათ კიცხში არსებობდა პურის საცხობი და სასადილო, რომლებიც კარგა ხანია დახურეს. მიუხედავად მშრომელთა არაერთგზის მოთხოვნისა, რომ გაეხსნათ პურის საცხობი და სასადილო, ორჯონიკიძის სოფლის კოოპერატივმა (გამგეობის თავმჯდომარე ს. ბუაჩიძე) დღემდე ვერ შეძლო ამ საკითხის მოგვარება.

უკეთესი მდგომარეობა არც ვარძიის სასოფლო საბჭოშია (აღმასკომის თავმჯდომარე გ. ციმაკურიძე). ვარძიელი კოლმეურნეები კლუბის უქონლობის გამო მოკლებული არიან კულტურულ მომსახურებას. აქ იმვიათად უჩვენებენ კინოსურათებს, ხოლო თვითმოქმედი წრეების მუშაობისათვის ელემენტარული პირობებიც არ არსებობს.

ამ მტკივნეული საკითხების შესახებ ბევრჯერ ითქვა. ისინი სასოფლო საბჭოების აღმასკომების, სესიების მსჯელობის საგანიც იყო, მაგრამ მათს განხილვას შედეგი არ მოჰყოლია.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

დ. გურგენიძე,
ხიდრის სასოფლო კლუბის გამგე.

წყალსადენის გაყვანისათვის არ ზრუნავენ

სოფელ ოძისის (დუშეთის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები — ორასამდე კომლი — სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიან.

სოფლიდან სამ კილომეტრზეა მშვენიერი წყარო, რომელიც წყალსადენის გაყვანის შემთხვევაში სავსებით დააკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას, მაგრამ ამ საქმეს, სამწუხაროდ, დღემდე მზრუნველი არ გამოუჩნდა.

ოძისელებმა დახმარებისათვის მრავალჯერ მიმართეს მჭადიჯვრის სასოფლო საბჭოს, რაისაბჭოს აღმასკომს და რაისაბჭოს თავიანთ დეპუტატს ამხ. ა. გეგიას, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე შედეგი არ ჩანს.

წყალსადენის გამოყვანას 60 ათასამდე მანეთი დასჭირდება. ვინაიდან კოლმეურნეობას ამჟამად მშენებლობისათვის თანხები არა აქვს, საჭირო იქნება კოლმეურნეობას მიეცეს გრძელვადიანი კრედიტი და საშენი მასალები.

ოძისის ყველა მცხოვრები თავის შრომითს წვლილს შეიტანს წყალსადენის მშენებლობაში, თუ კი მათ სათანადოდ დაეხმარებიან.

ო. ფარჩუკაშვილი,
სოფელ ოძისის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი.

რაზომ არ გააქვთ იარაღ-მანქანები?

გორის მტს-ის სახელზე ჩვენი ქვეყნის ქარხნებიდან მოდის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომლებსაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნაწილებს მეზობელ მტს-ებს (ზოგჯერ ჩვენგან შორს მყოფ მტს-ებსაც).

მაგრამ ზოგიერთ მტს-ს დროულად არ მიაქვს კუთვნილი იარაღ-მანქანები. ჩვენს მტს-ს არა აქვს მათ შესანახად საჭირო ფარდული, და ამ მიზეზით ძვირფასი ტექნიკა წლობით ცის ქვეშ ყრია, იჟანგება და ზიანდება. მაგალითად, 1955 წელს მიღებული 5 ცალი ბალის კულტივატორი დღესაც გასატანი აქვთ სტალინირის, ზნაურის, ასპინძის, ადიგენისა და მარტყოფის მტს-ებს. ასევე 1956 წლის გაზაფხულზე მიღებული ნამჯის შემგროველი სათრეველები არ წაუღიათ ხაშურის, გომის, აგარის, ქარელის, სტალინირის, ტყვიავის და სხვა მტს-ებს.

მტს-ის ეზოში ყრია აგრეთვე „ჰნ 3-35“ მარკის ხუთი გუთანი, ორი სილოსის ასაღები „სკ-2,6“ მარკის კომბაინი და სხვა იარაღ-მანქანები.

რატომ არ გააქვთ მტს-ებს კუთვნილი იარაღ-მანქანები? ან საჭირო ზომებს რატომ არ იღებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო?

რ. ჟანჩაველი,
გორის მტს-ის პარტბიუროს მდივანი.

საგაზეთო თემაზე

უკეთ გავაკრიტიკოთ არჩევნებისათვის მზადება

ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ გორში მოწვეულ ზონალურ თათბირზე გამოირკვა, რომ ხაშურის რაიონის ბევრ სოფელში სუსტად არის მოწყობილი პოლიტიკური აგიტაცია ამომრჩეველთა შორის, ხშირად აგიტატორთა საუბარი მოწყვეტილია რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს, ამომრჩეველებისათვის არარეგულარულად და დაბალ დონეზე ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები. მაგრამ ხაშურის რაიონული გაზეთი **„გამარჯვების გზით“** თავის ფურცლებზე სათანადოდ ვერ ასახავს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობას, მასებში პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობას, ვერ რაზმავს მშრომელებს საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

13 იანვრის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე წერილი „17 მარტი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა“. სამწუხაროდ, მოწინავე საერთოდ და ზერელედ არის დაწერილი. მასში ადგილობრივი საბჭოების მუშაობაზე არცერთი კონკრეტული ფაქტი არ არის მოყვანილი. ის აგებულია ზოგადი, არაფერისმთქმელი ფრაზებისაგან. აი ამონაწერი:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, — წერს გაზეთი, — დიდი ამოცანები დასახა საბჭოების წინაშე. ხაშურის რაიონის ადგილობრივი საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან ამ ამოცანების განხორციელებისათვის, წარმატებით იბრძვიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი აღმავლობისათვის, მასების აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით სისტემატურად აუმჯობესებენ თავიანთს მუშაობას, დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ნაკლიც არის. ზოგან ადგილი აქვს მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტებს, ირღვევა სესიების მოწვევის ვადები, დეპუტატები ანგარიშს არ აბარებენ ამომრჩეველებს, ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი პატივს არა სცემს თავის გადაწყვეტილებებს, არა ზრუნავს მათი განხორციელებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეს“.

ვის რას მისცემს ასეთი მსჯელობა? გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილია ა. წულეისკირის წერილი „სადაბო საბჭო და მისი დეპუტატები“. ზემოაღნიშნული მოწინავისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ აქ გვარებსაც და ფაქტებსაც ვხვდებით, მაგრამ არ არის ნაჩვენები, თუ როგორ მუშაობენ სადაბო საბჭო და მისი დეპუტატები.

ასევე ფაქტების მშრალ რეგისტრაციაზეა აგებული მასალა „ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მეხუთე მოწვევის მეცხრე სესია“.

უკანასკნელ ხანს გაზეთმა რამდენადმე გააუმჯობესა მუშაობა საარჩევნო კამპანიის გაშუქების საქმეში. 18 იანვარს გაზეთში დაიბეჭდა გ. გოგოლაძის წერილი „დეპუტატები — საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები“, სადაც ლაპარაკია ოსიაურის სასოფლო საბჭოს დეპუტატების გ. მეტრეველის, ლ. მახარაშვილის, ნ. მეტივიშვილის, ნ. გოჩიაშვილის და სხვათა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და საკოლმეურნეო წარმოებაში მათი მონაწილეობის შესახებ.

რუბრიკით „მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის“ გამოქვეყნებულ მასალებში გაზეთმა მკაცრად გააკრიტიკა ჭალისუბნის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის საქმიანობა იმისათვის, რომ მას პირველი თებერვლისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული მუშაობა, არ გაჩნდა სამუშაო გეგმა, შემოღებული არ იყო აგიტატორთა მორიგეობა, ამომრჩეველთა შორის არ აწყობდა საუბრებს, ლექციებს, მოხსენებებს, აგიტპუნქტი არ იყო გაფორმებული და სხვ. ასეთივე ნაკლოვანებებისათვის გაზეთმა გააკრიტიკა ხაშურის მესამე საშუალო სკოლის, დასავლეთისა და ზოგიერთი სხვა საარჩევნო უბნების აგიტპუნქტები.

მცხეთის რაიონულმა გაზეთმა **„კომუნიზმის გზით“** არჩევნების მომზადებას 20 და 27 იანვარს მიუძღვნა ორი მოწინავე წერილი. რედაქციამ რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა მოწინავე წერილებში დაესახელებინა თუნდაც ერთი ფაქტი. სამწუხაროდ, გაზეთი ზოგადი ფრაზებითაა და მსჯელობებით დაკმაყოფილდა. 31 იანვრის ნომერში დაბეჭდილ მასალაში „უმოქმედო აგიტპუნქტი“ გაკრიტიკებულია სოფელ ნატახტარის აგიტპუნქტების სუსტი მუშაობა, მაგრამ წერილში ნაკლოვანებების მხოლოდ მშრალი ჩამოთვლაა.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე ცოტას წერენ გაზეთები **„ლენინელი“** (გულრიფში) და **„სტალინური გზით“** (გალი). მათს ფურცლებზე ვერ შეხვდებით ვერც ერთ წერილს, კორესპონდენციას, ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ ემზადებიან რაიონში არჩევნებისათვის. ისინი მხოლოდ რაიონში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებების დაბეჭდვით დაკმაყოფილდნენ. მართალია, ისინი მცირე ფორმის გაზეთებია, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ამართლებს მათს უმოქმედობას ამ მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქების საქმეში. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომპარტიის გულრიფშისა და გალის რაიონული კომიტეტები ასეთ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევენ, არ მიუთითებენ რედაქციებს ამ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, არ ზრუნავენ მათი მუშაობის გარდაქმნისათვის.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. გაზეთების საბრძოლო ამოცანაა მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა ამ მნიშვნელოვანი კამპანიის უკეთ გაშუქებისათვის, დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს არჩევნების წარმატებით ჩატარებაში.

გ. ხომერიკი.

მტს-ების მუშაკთა სერიოზული გაფრთხილება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიაში

შემოწმებით გამოირკვა, რომ წითელხიდის, რუისისა და ქედის მტს-ებში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ხელმძღვანელი სამეურნეო ორგანოების დადგენილებებისა და ბრძანებების შესრულებას, ზოგჯერ საჭირო დოკუმენტებიც კი იკარგება. მტს-ების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები, შესუსტებულია სახელმწიფოებრივი დისციპლინა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანება, რომელიც ეხებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს და ამ მხრივ მტს-ების მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას, რუისის მტს-ში ისე ჩაკერეს საქმეში, რომ არავითარი პრაქტიკული ღონისძიებანი არ დაუსახავთ და არ განუხორციელებიათ. ყოველივე ამის შედეგად მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში ჩაშლილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებათა შესრულებისადმი შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენს წითელხიდის მტს-ი. აღმოჩნდა, რომ სამინისტროს 42 ბრძანება და განკარგულება არ იყო გარჩეული, რეგისტრაციის ჟურნალში გატარებული და დანიშნულებისამებრ გადაცემული. აქ ანიავებენ საწვავ-საცხებ მასალებს. მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა 45 სახიდან შარშან მხოლოდ 20 სახის სამუშაო შეასრულა. იმისათვის, რომ წლიური გეგმის 100 პროცენტით შესრულება ეჩვენებინა, მტს-ის ხელმძღვანელობამ სიყალბე ჩაიდინა. დმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩატარებული მიწის სამუშაოები, რაც 6.000 კუბურ მეტრს შეადგენდა, 50.000 კუბურ მეტრად გააფორმა. კოლმეურნეობას ზედმეტი თანხა რომ არ გადაეხადა, მტს-ის დირექტორმა ამხ. მემარნიშვილმა ბუხჰალტერს განკარგულება მისცა კოლმეურნეობისათვის თვითეული კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეეფასებინა 4 კაპიკად, მაშინ როცა 32 კაპიკი ღირს.

წითელხიდის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა ლ. გასპაროვმა არ შეასრულა დავალება მტს-თან მოწყობილ კურსებზე მექანიზატორთა კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეორე პროფესიის დაუფლების შესახებ. ამასთან ამხ. გასპაროვმა გასული წლის მეოთხე კვარტალში სამინისტროს გამოუგზავნა ცნობა 7 ტრაქტორის შეკეთებაზე, მაშინ როცა სინამდვილეში მხოლოდ 4 ტრაქტორი იყო მზად.

ქედის მტს-ს უნდა შეემოწმებინა თესლბრუნვის საქმე და 1956 წლის 1 დეკემბრამდე ეცნობებინა სამინისტროსათვის. მაგრამ ფაქტიურად დავალება არ შეუსრულებია.

ზემოაღნიშნული საკითხები განიხილა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ. კოლეგიის დადგენილებით წითელხიდის მტს-ის დირექტორი ამხ. დ. მემარნიშვილი ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებისა და ბრძანებების შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, მტს-ის აპარატში სახელმწიფოებრივი დისციპლინის მოშლისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

წითელხიდის მტს-ის მთავარი ინჟინერი ამხ. ლ. გასპაროვი, რომელმაც გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინა ზემდგომი სამეურნეო ორგანოების დავალებათა შესრულების საქმეში, ჩამოყენებულია ამავე მტს-ში სახელოსნოს გამგის თანამდებობაზე.

ქედის მტს-ის დირექტორს ამხ. გ. ერიაშვილს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებებისა და ბრძანებების შესრულების უგულებელყოფისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ხოლო რუისის მტს-ის დირექტორს ამხ. დ. ტიტვინიძეს — საყვედური.

ციტრუსების სანერგეში

ცხაკაია. (საკ. კორ.). სოფელ ნოსირის ციტრუსების სახელმწიფო სანერგე, რომელსაც 58 ჰექტარი ფართობი უკავია, ციტრუსებისა და სხვადასხვა ხეხილის ნერგებით სისტემატურად ამარაგებს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს. გასულ სამეურნეო წელს რეალიზებულ იქნა 170.000 ძირი მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ნერგები, 260.000 ძირი დაფნა, 21.000 ძირი წიწვოვანები. სანერგის კოლექტივმა სახელმწიფოს 400.000 მანეთი მოგება მისცა.

წელს მუშაობა ახალი ძალით გაიშალა. მზადდება ნაადაგი ნერგების გამოყვანისათვის, თესვისათვის. დაფნა დათესება 4,2 ჰექტარზე. განზრახულია 56.000 ძირი სადედე ვაზის მიღება. გამოიყვანენ აგრეთვე 150.000-მდე ძირ ციტრუსების ნერგს.

მუშათა კრებები მასების აღზრდისა და აქტივობის ამაღლების სკოლაა

სოციალისტური მშენებლობის ხანგრძლივი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენი მეურნეობის წარმატებების მნიშვნელოვან და მძლავრ წყაროს წარმოადგენს მასების შემოქმედებითი აქტივობა, სახალხო ინიციატივისათვის ფართო გასაქანის მიცემა.

მუშათა კრება, როგორც ცნობილია, წარმოადგენს იმის ნაცად საშუალებას, რომ საწარმოს ხელმძღვანელობაში მივიზიდოთ მასები, გამოვიყენოთ მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. მუშათა საერთო კრებები და საწარმოო თათბირები ხელს უწყობს მთელი კოლექტივის დარაზმვას საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, აჩქარებს წარმოების შემდგომ განვითარებას.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში მუშათა კრებები ეწყობა რეგულარულად თვეში ერთხელ მაინც. საქარხნო პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ კრებების მომზადებას. დღის წესრიგის შედგენამდე ეთათბირებიან მუშებს, თუ ვის შეიძლება დაევალოს კრებაზე ამა თუ იმ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოსვლა, რა დროს უკეთესია კრების მოწვევა, რა შენიშვნები აქვთ და ა. შ.

ყოველივე ეს ხელს უწყობს მუშათა კრებების როლის ამაღლებას, კრებების მიმზიდველად, ცოცხლად, საინტერესოდ ჩატარებას, მუშების დაინტერესებას იმით, რომ მომავალ კრებაზე მათი მუშაობა ცუდად არ შეფასდეს. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ქარხანას 1956 წლის საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულებაში.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ვაგონშემკეთებელმა სახელოსნომ 1956 წლის პირველ კვარტალში გამართულად ვერ იმუშავა. როცა გამოირკვა, რომ სახელოსნოს კოლექტივმა იმავე კვარტალის მესამე თვის — 1956 წლის მარტის გეგმა მხოლოდ 33,6 პროცენტით შეასრულა, საამქროს პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა საკითხის მუშათა კრებაზე გატანა. დღის წესრიგი გამოცხადებულ იქნა ხუთი დღით ადრე, ხოლო მოხსენების გაკეთება კრებაზე დაევალა სახელოსნოს უფროსს ამხ. გ. როხვაძეს. კრებაზე როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში მონაწილე მუშებმა — გ. პაპავამ, მ. ვახტანგიშვილმა, გ. დათუკაშვილმა, და ტექნიკური განყოფილების უფროსმა რ. კოტრიკაძემ აღნიშნეს, რომ საწარმოო გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია არა მარტო სამასალო განყოფილების მოუქნელი მუშაობით, არამედ სამმართველოს ადმინისტრაციის უდარდელობითაც. კრებაზე სასტიკად გააკრიტიკეს სამსხმელო საამქროს მუშები გ. ყაჯრიშვილი, ა. ხაჩატუროვი, გ. ნემსაძე, გ. არზუმანოვი და სხვები, რომლებმაც დაუშვეს წუნდებული პროდუქციის გამოშვება. ამასთან გამოირკვა, რომ საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის მიზეზს წარმოადგენდა შრომის მოუწესრიგებლობა. მარტო 1956 წლის I კვარტალში აღრიცხული იყო შრომის დისციპლინის დარღვევის 29 შემთხვევა.

კრებაზე სრული სიცხადით გამოირკვა ის მიზეზები, რომლებმაც ჩამორჩენა გამოიწვია, და დასახულ იქნა ქმედითი ღონისძიებანი ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

პროფკავშირული ორგანიზაცია დადგენილების მიღებისთანავე შეუდგა მუშაობას კრებაზე დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. მართლაც, გარდატეხა უმოკლეს დროში იქნა მიღწეული, სახელოსნომ წლიური საწარმოო დავალება 15,9 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა.

უდისციპლინო მუშები აქა-იქ კიდევ გვხვდებიან ამა თუ იმ საწარმოო კოლექტივში. ეს უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ ამ კოლექტივებში ახალმოსული მუშების აღზრდას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, რომ მუშათა კრებებს, საწარმოო თათბირებს ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ვერ იყენებენ როგორც ახალი კადრების აღზრდის სკოლას.

დამახასიათებელია ასეთი მაგალითი: კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშები ს. აგალაროვი, ს. ვოროვკინი, ა. ზოტოვი და ნ. პავლოვი სისტემატურად ლოთობდნენ, დაუდევრად მუშაობდნენ, აფერხებდნენ კოლექტივის საერთო წინსვლას. საქარხნო პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა ამ ამხანაგების შესახებ საკითხი განსახილველად გამოეტანა ქარხნის მუშათა საერთო კრებაზე. კრებამ მაღალი აქტივობით ჩაიარა, ყველამ, უწინარეს ყოვლისა კი მათმა უახლოესმა მეგობრებმა, ეს ამხანაგები მკაცრად გაიცხეს და მოუწოდეს თავი დაენებებინათ ლოთობისათვის. ამან დიდად იმოქმედა ლოთობის მოყვარულებზე, რომლებმაც იგრძნეს, რომ ქარხანაში მათ გარშემო შექმნილი იყო შეუწყნარებლობის ატმოსფერო. მართლაც, ამ კრების შემდეგ ეს ამხანაგები გამოსწორდნენ და ახლა წარმოების მოწინავე ადამიანები არიან.

მაგრამ, სამწუხაროდ, საერთო კრებების მოწყობას ყველგან ასეთი ყურადღება როდი ექცევა. ბევრგან მუშათა საერთო კრებას იწვევენ მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევის გამო და ისიც ზემდგომი ორგანოების რეკომენდაციით ან კოლექტიური ხელშეკრულების განსახილველად.

გვხვდება ისეთი ფაქტებიც, როდესაც მუშათა კრებებს იწვევენ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად, იმისათვის, რომ დაცულ იქნას კრების ჩატარების ვადები. იმავე ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ელდენის დარგის მუშათა კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო 1956 წლის 14 სექტემბერს, დღის წესრიგში იდგა საკითხი — „1955 წლის სოციალისტური შეჯიბრების შესრულების შედეგები და 1956 წლის ვალდებულებების აღება“. საკითხის ასეთ ფორმულირებას კომენტარი არ ესაჭიროება. ცხადია, 1955 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების 9 თვის დაგვიანებით განხილვა სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. საერთოდ აქ 1956 წლის განმავლობაში შემდგარი მუშათა 9 საერთო კრებიდან 8 კრებაზე მოსმენილია სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხი, დადგენილებებიც მიღებულია შეჯიბრების მოწყობის შესახებ, მაგრამ დღემდე შეჯიბრება აქ მხოლოდ ოქმებშია გაშლილი, ფაქტიურად კი ამ მიმართულებით არაფერი არ გაკეთებულა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მუშებსა და მოსამსახურეებში კრებებისადმი ინტერესი იზრდება მაშინ, თუ მათ მიერ გამოთქმულ სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს მიიღებენ და განახორციელებენ. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ზეინკალმა გ. სუხიშვილმა განაცხადა, რომ როგორც მუშათა კრებაზე, ისე სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და კონფერენციებზე არაერთხელ აღუნიშნავს მთელი რიგი მოუწესრიგებელი საწარმოო საკითხები, მაგრამ მის ნათქვამს ყურადღებას არ აქცევენ.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მუშათა კრებებზე იშვიათად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მუშათა კრებები ნამდვილად გადააქციონ წარმოების ხელმძღვანელობაში მასების მიზიდვის მნიშვნელოვან საშუალებად, ახალმოსულთა აღზრდის, 1957 წლის საწარმოო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების აქტიურად ჩაბმის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნის მძლავრ იარაღად.

ა. ჯავახიშვილი,
საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი.

ქუთაისი. თხუთმეტი წელია ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში მუშაობს ლ. კიკვიძე. იგი ამჟამად საკერავი საამქროს ცვლის უფროსია და თავის მდიდარ გამოცდილებას ყოველთვის სამმოვნებით უზიარებს ახალგაზრდა მუშებს. სურათზე: ლ. კიკვიძე (მარცხნივ) რჩევას აძლევს ახალგაზრდა მუშას — რანტის მომკერებელს ბ. ლებედევს, რომელიც წინასაარჩევნო შრომითს ვახტზე დგას და დავალებებს სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

★

წარმაჯებით სრულდება გეწვეულის დამზადების გეგმა

ამბროლაური. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის სეზონში სახელმწიფოსათვის ქურქ-ბეწვეულის დამზადების საქმეში თავი ისახელეს რაიონის მონადირეებმა. მათი ენერგიული შრომის შედეგად ამბროლაურის რაიკავშირის ქურქ-ბეწვეულის დამზადების კანტორამ გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

გამოცდილი მონადირე ვ. მაისურაძე, რომელსაც ანზე მეტი დათვი ჰყავს მოკლული, ყოველწლიურად 2.000-3.000 მანეთის ბეწვეულს აბარებს სახელმწიფოს. გასული წლის შემოდგომაზე მან 8 დათვი და 20 კვერნა მოკლა. ასეთივე წარმატებები აქვს მონადირე დ. ჯელაძეს.

ახალგაზრდა მონადირეები ე. ბეშიძე, რ. ნიავაძე, მ. პეტრიაშვილი გამოცდილ მონადირეებს როდი ჩამოუვარდებიან. გასული წლის შემოდგომაზე სულ რაიონში მოკლეს 50 დათვი, 3 მგელი და ერთი ფოცხვერი, აქედან ახალგაზრდებმა — 30-მდე დათვი და ორი მგელი.

მეტალურგთა შეხვედრა პოეტ ი. გრიშაშვილთან

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მეტალურგთა კულტურის სასახლეში მოეწყო ქალაქის მშრომელთა შეხვედრა პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილთან. პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი ბ. ეღენტი. სტუმარს მისასალმებელი სიტყვებითა და ლექსებით მიმართეს კულტურის საქალაქო სახლთან არსებული ლიტერატურული წრის წევრებმა — მარტენის საამქროს ხარატმა ი. ჯინჭარაძემ, მილსაგლინავი საამქროს ელექტრიკოსმა ფ. რაინაულმა, სამსხმელო საამქროს მუშამ უ. მენაფირემ, სამავშვო სახლის აღმზრდელმა ვ. დევრისაშვილმა და სხვებმა.

ი. გრიშაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წაუკითხა რამდენიმე საკუთარი ლექსი.

დასასრულ ქალაქის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

მეგობრის ნიღბით

პენსიონერი ნიკოლოზ სალარიძე, რომელმაც ცალი ფეხი რკინიგზაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაკარგა, თავისი ოთხი ბავშვის მომავალ ბედნიერებაზე ფიქრობდა, როდესაც სახელმწიფო სესხი აიღო და ხაშურში სახლის მშენებლობა დაიწყო.

ერთ მშვენიერ დღეს მასთან მივიდა თბილისელი „მეგობარი“ გ. თოფურიძე და მოთაფლული სიტყვებით მიმართა:

— ჩემო ნიკოლოზ! დიდი დახმარების გაწევა არ შემიძლია, მოგეხსენება, ისე ხელგაშლილად არ ვცხოვრობ, მაგრამ ერთ კარგ საქმეს მაინც გაგიკეთებ. ინვალიდი კაცი ხარ, მისვლა-მოსვლა გიჭირს, თანაც, ხომ იცი, სახლის სახურავი არც ისე ადვილი საშოვნელია, ნაცნობობაა საჭირო, ჰო და თუნუქს თბილისში მე გიშოვნი. ამისათვის ათას შვიდასი მანეთი მეყოფა. დავალებას სულ ბევრი ერთ თვეში შევასრულებ, სახურავს ჩემი ხელით ჩამოგიტან...

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, —
აბა შე დღეს ვის რა ვარგე?“

გაახსენდა ნიკოლოზს ილიას ეს უკვდავი სიტყვები და გული კმაყოფილების გრძნობით აღევსო. მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. უფრო გვიან გამოირკვა, რომ გ. თოფურიძე მას მოევლინა არა ილია ჭავჭავაძის სიბრძნით გაკეთილშობილებული, არამედ გაიძვერას სახით.

გ. თოფურიძემ ნიკოლოზის გული ამით მოიგო, რომ ავთანდილობას ეფიცებოდა: რა ვაკაცი ვყოფილვარ, ძვირფას მეგობარს მცირედი დახმარება ვერ გაგიწიო! ან რა დიდი დახმარება ეს არის — შენი ფულით თუნუქი გიყიდო...

ტკბილი სიტყვებით გაბრუებულმა პენსიონერმა გრიგოლს ფული გაატანა საჭირო მასალის შესაძენად. რას იფიქრებდა, რომ ამით ფულსაც დაკარგავდა, მასალასაც და „მეგობარსაც“.

გ. თოფურიძეს აზრადაც არ მოსვლია ნიკოლოზისათვის თუნუქი ეყიდა. მან უსინდისოდ მიითვისა პენსიონერისგან [illegible] ლარი, იმედგაცრუებულმა ნიკოლოზმა თბილისის [illegible] რაიონის პროკურატურას მიმართა. პროკურატურამ თოფურიძის ქონებას(!) ოთახში, რომელშიც მაშინ ის ცხოვრობდა (თბილისი, ლენინის 1 შესახვევი № 4), ყადაღა დაადო და ნ. სალარიძეს ურჩია საჩივარი სასამართლოში შეეტანა. სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ როცა აღმასრულებელი აღნიშნულ ბინაზე მივიდა, აღმოჩნდა, რომ გ. თოფურიძეს ცოლი მიუტოვებია, იქ აღარ ცხოვრობს და არც რაიმე მოეპოვება(?) გაფლანგული თანხის დასაფარავად.

ახლა პროკურატურის მუშაკები ელოდებიან(!) იმ ბედნიერ დღეს, როცა გ. თოფურიძე მუშაობას დაიწყებს. მაშინ აღარ გაუძნელდებათ აღმასრულებელი ფურცელი გაგზავნონ თოფურიძის სამსახურის ადგილზე მისი ხელფასიდან სალარიძის სასარგებლოდ ათას შვიდასი მანეთის დაკავების მიზნით. მაგრამ თოფურიძე სამსახურს არ იწყებსო, ამბობენ... და ასე გადის დღეები.

ყოველივე ამის შესახებ ხაშურიდან გამოგზავნილ წერილში პენსიონერი ნიკოლოზ ივანეს-ძე სალარიძე რედაქციას სწერდა: ამ საქმეზე თბილისში ოცჯერ ჩამოვედი, მაგრამ უშედეგოდ.

ჩვენი სურვილი იყო პირადად გვენახა გრიგოლ იასონის-ძე თოფურიძე, გაგვეგო, რატომ დაკარგა მან საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, რატომ თაღლითობს, რატომ გაურბის პატიოსან შრომას. მან არ ისურვა რედაქციაში მოსვლა. ისღა დაგვრჩენია, რომ გაზეთის საშუალებით გავესაუბროთ და საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოვიტანოთ მისი საქციელი.

გვინდა ვკითხოთ მოქალაქე გ. თოფურიძეს: რატომ გაურბიხართ პატიოსან შრომას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ღირსებისა და დიდების საქმეა, რატომ არღვევთ ოჯახს, რატომ თაღლითობთ? განა შეიძლება საბჭოთა ადამიანი ასე იქცეოდეს?

კ. მახვილაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მკვეთრად გავაღიზოთ ღორის ხორცის წარმოება“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში ღორების გასუქების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის ბიურომ იმსჯელა წერილის გარშემო და დასახა ღონისძიებანი ღორების გასუქებისადმი უდარდელი დამოკიდებულების აღსაკვეთად. კოლმეურნეობა „ახალი შრომის“, ახალსოფლის, პატარძეულის, საგარეჯოს კოლმეურნეობათა გამგეობებს, მტს-ების დირექტორებს და ზოოვეტსპეციალისტებს დაევალათ გადამჭრელი ზომები მიიღონ ღორის ხორცის წარმოების გასაღიდებლად, გამოჰყონ და სუქებაზე დააყენონ ღორები იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ღორის ხორცის წარმოების გეგმის შესრულებას. ღორების მთლიანი სულადობა მოთავსებულია შესაფერის ბინებში, სუქებაზე დაყენებულ ღორებს მრავალფეროვანი და ყუათიანი საკვები ეძლევა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფელ უხუთის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ოქროპილაშვილი საკოლმეურნეო ქონებას ითვისებს, სწერდა რედაქციას ჩვენი გაზეთის მკითხველი გ. ხუციძე.

მამხილებელ წერილზე იმსჯელა საქართველოს კპ ვანის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც გადაეგზავნა წერილი ზომების მისაღებად. წერილი შემოწმებით დადასტურდა. რაიკომის ბიურომ საკოლმეურნეო ქონების მითვისებისათვის გ. ოქროპილაშვილი გარიცხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან. გ. ოქროპილაშვილი მოხსნილია კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.

კარლო გოლდონი

დაბადების 250 წლისთავის გამო

⊙

დღეს მთელი კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავს იტალიის ეროვნული თეატრის რეფორმატორის, უდიდესი კომედიოგრაფის კარლო გოლდონის დაბადების 250 წლისთავს.

მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს კარლო გოლდონის. იგი 11 წლისა იყო, როცა დაწერა პირველი პიესა. 12 წლისამ შეასრულა ქალის როლი ჯიელიის პიესაში „დონ პილონე“. 15 წლის გოლდონის ხელთ ჩაუვარდა ნიკოლო მაკიაველის ცნობილი კომედია „მანდრაგორა“, რომელმაც მისცა მას ბიძგი ახალი სიტყვა ეთქვა მშობლიური დრამატურგიის განვითარებაში. გოლდონი მამის მოთხოვნით იძულებული იყო იურიდიული განათლება მიეღო და პადუის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვენეციელი ადვოკატად დაწყო. მაგრამ პარალელურად დრამატურგიაში განაგრძობდა მუშაობას. პირველი მისი ლიბრეტო ოპერისათვის „ამალასუნტა“ მსახიობებმა დაიწუნეს, რადგანაც ის არ იყო იმ დროს მიღებული ტრაფარეტით დაწერილი. გოლდონმა იგი დაწვა და ფიცი დადო არასოდეს აღარ დაწერა რამე მუსიკალური თეატრისათვის, თუმცა შემდეგში მან ეს ფიცი დაარღვია.

გოლდონის პირველი სასცენო ნაწარმოები გახდა ინტერმედია „ვენეციელი გონდოლიერი“. პროფესიონალ მსახიობთა მიერ გოლდონის პიესებიდან პირველად ეს ინტერმედია იქნა შესრულებული. ამავე ხანებში მსახიობ კაზალის თხოვნით კ. გოლდონმა ტრაგედიად გადააკეთა ბიზანტიის მხედართმთავრის ველიზარის თავგადასავალი.

პირველი პერიოდი გოლდონის დრამატურგიული მოღვაწეობისა მოიცავს 1734-1743 წლებს. ამ ხნის განმავლობაში იგი წერს ტრაგიკომედიებს, ინტერმედიებს და სცენარებს კომედია დელ არტესათვის.

დიდ ანგარიშს უწევს რა იმ დროს გამეფებულ კომედია. დელ არტეს და მის წარმატებას ვენეციელთა შორის,

კ. გოლდონი ქმნის კომედიას „მაღალი წრის ადამიანი, ანუ მომოლო — საზოგადოების სული და გული“, რომელშიც მან ლიტერატურულად ერთადერთი სახე — თვითონ მომოლო დაამუშავა, ყველა დანარჩენი როლი მსახიობებს საიმპროვიზაციოდ დაუტოვა. ამას მოყვა კომედიები „მფლანგველი“, „გაკოტრებული“, „ქალი, როგორიც უნდა იყოს“.

1743 წელს კ. გოლდონიმ თეატრისათვის მუშაობას თავი დაანება და ვენეციიდან წავიდა, იმოგზაურა იტალიაში, შემდეგ კი დასახლდა ქალაქ პიზაში, სადაც ვექილობას დაუბრუნდა. აქ კ. გოლდონმა კომედია დელ არტეს ცნობილი მსახიობის ანტონიო საკის თხოვნით შექმნა ორი სცენარი: „ორი ბატონის მსახური“ (1745), რომელიც მან შემდეგში დასრულებულ ლიტერატურულ კომედიად გადააკეთა და დღემდე შემორჩა სცენას, და „არლეკინის დაკარგული და ნაპოვნი შვილი“.

1747 წელს გოლდონი მიიწვია ვენეციელმა ანტრეპრენიორმა ჯიროლამო მედებაკმა 5 წლის ვადით სან-ანჯელოს თეატრში სამუშაოდ. გოლდონის ევალებოდა წელიწადში 8 კომედია დაეწერა და ზაფხულობით დასს გაჰყოლოდა მოგზაურობაში.

ამგვარად დაიწყო გოლდონის მოღვაწეობის მეორე პერიოდი (1748-1753). ამიერიდან კ. გოლდონი გვევლინება როგორც პროფესიონალი დრამატურგი. გოლდონი შემოქმედებას ეწევა ორი მიმართულებით. ერთია ზნე-ჩვეულებითი ხასიათის ლიტერატურული კომედიები, მეორე — ხალხის ყოფაცხოვრებიდან აღებული კომედიები. პირველის ნიმუშს წარმოადგენს „ეშმაკი ქვრივი“, მეორისას — „პატიოსანი ქალიშვილი“. კ. გოლდონის დრამატურგიულმა მოღვაწეობამ მწვერვალს მიაღწია 1750-51 წლების სეზონში. ამ სეზონში მან 16 ახალი კომედია შექმნა, მათ შორის „კაფე“, „ანტიკვარის ოჯახი“, „პამელა“, „ნამდვილი მეგობარი“, „პატიოსანი ავანტიურისტი“, „ქალთა ჭორები“. ამ კომედიებს გოლდონიმ წარუმძღვარა თავისი საპროგრამო ნაწარმოები „კომიკური თეატრი“, რომელშიც მოცემულია მისი შემოქმედებითი კრედო.

დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის ნიადაგზე გოლდონი ნერვიულად დაავადდა. მისი ანტრეპრენიორი მედებაკი ძუნწი ექსპლოატატორი იყო. ამიტომ გოლდონი გაეთიშა მას და სანლუკას თეატრში გადავიდა სამუშაოდ.

იწყება გოლდონის მოღვაწეობის მესამე პერიოდი (1753-1762). ამ პერიოდს ახასიათებს გოლდონის შემოქმედებითი დიაპაზონის გაფართოება. იგი წერს ეგზოტიკურ ტრაგიკომედიებს და კლასიცისტური სტილის სახასიათო კომედიებს ლექსად.

მედებაკმა გოლდონს წასვლისთანავე მოიწვია მისი დაუძინებელი მტერი აბატი კიარი, რომელიც გოლდონის თითქმის ყოველ კომედიას მსგავსივე, თუმცა გაცილებით უფრო დაბალი ხარისხის, კომედიით უპასუხებდა. ამ პერიოდში გაძლიერდა არისტოკრატიის თავდასხმები გოლდონზე. მას უკიჟინებენ ვულგარობასა და ნატურალიზმს. მის მტრებს არისტოკრატიის ბანაკიდან აბრაზებდა ის, რომ კ. გოლდონი ხალხის დაბალი ფენების ცხოვრებას ასახავდა, მის ჭკუა-გონებას აძლევდა უპირატესობას, ამხილებდა გადაშენების გზაზე დამდგარ არისტოკრატიას. კ. გოლდონის მიერ ხალხის ცხოვრებიდან აღებული კომედიები განსაკუთრებული ფერადოვნებით და სიცოცხლის სიყვარულით გამოირჩევა. ასეთებია „დიასახლისები“, „გზა-ჯვარედინი“, „ახალი ბინა“, „ჟინიანები“, „ბუზღუნა ტოდერო“, „კიოჯელთა დავიდარაბა“.

ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდის ნიჭიერი დრამატურგი კარლო გოცი, ავტორი ისეთი ფიაბებისა (პიესა-ზღაპარი), როგორიც არის ცნობილი „პრინცესა ტურანდოტი“, „სიყვარული სამი ფორთოხლისადმი“, „ყორანი“, „მეფე-ირემი“, „ქალი-გველი“ და სხვ. ვენეციის იმდროინდელი საზოგადოება სენსაციის დიდი მოყვარული იყო. ამან ხელი შეუწყო კარლო გოცის ტრიუმფს. გოლდონი დაიბნა. მან დაჰყარა ფარხმალი და 1761 წლის 15 ივნისს გამოეთხოვა ვენეციას სპეციალურად ამ მომენტისათვის დაწერილი კომედიით „კარნავალის ერთ-ერთი უკანასკნელი საღამო“, რომელშიც მან საკუთარი თავი გამოიყვანა მხატვარ ანძოლეტოს სახით.

შემდეგ იწყება კ. გოლდონის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი (1762-1793). მოხუცებულობაში შესული გოლდონი დროგამოშვებით მუშაობს, რადგან იტალიური კომედიის თეატრი, რომელმაც გოლდონი პარიზში მიიწვია, ვეღარა დგამს პიესებს იტალიურ ენაზე. მთავარი ყურადღება ექცევა ფრანგული პიესების დადგმას. გოლდონი იძულებულია შეკვეთით წეროს კომედიები და კომიკური ოპერები. პარიზში კ. გოლდონის მიერ შექმნილი პიესებიდან დიდი წარმატება ხვდა მის მიერ ფრანგულ ენაზე დაწერილ კომედიას „ბუზღუნა კეთილისმყოფელი“. ამას გარდა კ. გოლდონიმ 1787 წელს დაამთავრა სამტომიანი მემუარების წიგნი, რომელიც XVIII საუკუნის იტალიური თეატრის ისტორიის უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს.

კ. გოლდონი მეტად ნაყოფიერი დრამატურგი იყო. მან 267 პიესა დაწერა, მათ შორის 155 კომედია, 18 ტრაგედია და ტრაგიკომედია, 94 ლიბრეტო ოპერებისათვის. იგი უაღრესად პოპულარული დრამატურგი იყო. ამას ამტკიცებს ის, რომ მისი პიესები მთელ იტალიაში იდგმებოდა და უდიდესი წარმატებით სარგებლობდა. ამას გარდა გოლდონის სიცოცხლეშივე (1787 წლამდე) 23-ჯერ გამოიცა მისი კომედიების კრებულები, ცალკე პიესების აუარებელი გამოცემის გარდა.

გოლდონის დიდი პატივისმცემელი იყო ვოლტერი, რომელმაც მას „ფერწერის ოსტატი“ და „ბუნების შვილი“ უწოდა. მანვე წამოაყენა წინადადება გოლდონის პიესათა კრებულისათვის „გუთენბერგისაგან განთავისუფლებული იტალია“ ეწოდებინათ. დიდად აფასებდა გოლდონის გერმანელი განმანათლებელი ლესინგი. რუსეთში მისი მთარგმნელი იყო დიდი დრამატურგი ა. ოსტროვსკი.

საქართველოში პირველად მისი საუკეთესო კომედია „სასტუმროს დიასახლისი“ სათაურით „როგორც ქუხს, ისე არა წვიმს“ თარგმნა ივ. მაჩაბელმა. მას შემდეგ იგივე პიესა თარგმნეს ვალ. გუნიამ, ს. ყალაბეგიმვილმა, დ. კასრაძემ და ი. გრიშაშვილმა. უკანასკნელი თარგმანით ეს პიესა დაიდგა რუსთაველის სახელობისა და ქუთაისის თეატრებში. გოლდონის ქართველი მთარგმნელები არიან აგრეთვე გ. ფრონისპირელი, რომელმაც „ორი ბატონის მსახური“ თარგმნა, და ამ სტრიქონების ავტორი. „ორი ბატონის მსახურმა“ საქართველოს თითქმის ყველა თეატრი მოიარა. გოლდონის კომედიებიდან „საპატარძლო აფიშით“ (დ. კასრაძის თარგმანი) დადგა რუსთაველის თეატრმა და ამ პიესას უჩვენებს იგი საზოგადოებას გოლდონის დაბადების 250 წლისთავის აღსანიშნავად.

გოლდონი თავისი ხალხის მოსიყვარულე და მისი ინტერესების დამცველი დრამატურგი იყო. ამას ადასტურებენ უბრალო ხალხის ცხოვრებიდან აღებული მისი კომედიები, სადაც მრავლად არიან გამოყვანილი ხელოსნები, გონდოლიერები, მეთევზეები, მრეცხავები, მზარეული ქალები და სხვ. ყოველივე ამან გოლდონის სახალხო დრამატურგის სახელი დაუმკვიდრა.

გოლდონი იმ დროის პირობებში ამაღლდა ზოგადკაცობრიული ინტერესების შეგნებამდე, რაც მან თავის შემოქმედებით დაამტკიცა. იგი გახდა იტალიური თეატრის დიდი რეფორმატორი. მის სიცოცხლით სავსე, ცხოველმყოფელ კომედიებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და ამშვენებენ მრავალი ქვეყნის თეატრების რეპერტუარს.

თავისი მაღალი შემოქმედებით გოლდონიმ გაამდიდრა მსოფლიო დრამატურგია. იგი კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის იბრძოდა, რისთვისაც მას ასე აფასებს მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა.

პროფესორი აკ. ფალავა,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების ძეგლები ბერლინში

ბერლინი, 23 თებერვალი. (საკდესი). დღეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების 39-ე წლისთავის გამო ბერლინის ტრეპტოვ-პარკში გვირგვინებით შეამკეს ბერლინისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლები.

გვირგვინები მიიტანეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსაგან, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოსაგან, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციებისაგან. ძეგლები გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე სსრ კავშირის საელჩომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის გენერლებმა, ოფიცრებმა და მეომრებმა, დიპლომატიურმა კორპუსმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე ი. დიკმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. შტოფი, ფ. ელსნერი, ჰ. ლოხი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჰ. მატერნი, კ. შირდევანი, ფ. ებერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ჰ. ვარნკე, ე. მიუკენბერგერი, ა. ნო